მოზარდი და თეატრი -მოზარდ მაყურებელთათეატრის ცნობადობის გაზრდა მოზარდებისა და მათი მშობლებლებისათვის

თეკლე ჯანელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა:პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია თვალჭრელიძე, ილიაუნის თეატრის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

ს ა რ ჩ ე ვ ი:

აბსტრაქტი .....გვ. 3

შესავალი..... გვ. 4

1.კვლევა..... გვ.10

1.1 რაოდენობრივი კვლევა..... გვ.10

1.2. თვისებრივი კვლევა..... გვ.11

2. შედეგები/ანალიზი გვ13

2.1 რაოდენობრივი კვლევის ანალიზი.....გვ13

2.2 თვისებრივი კვლევის ანალიზი..... გვ.15

3.პროექტის განხორციელების გრაფიკი/რეკომენდაციები გვ18

4.დასკვნა.....გვ23

5.ბიუჯეტი გვ24

დანართები გვ25

ბიბლიოგრაფია..... გვ29

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი “მოზარდი და თეატრი - მოზარდ მაყურებელთა თეატრის ცნობადობის გაზრდა მოზარდებისა და მათი მშობლებლებისათვის” მოზარდ მაყურებელთა თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის 6 კვირიან აქტიურ კამპანიას ასახავს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოვარკვიოთ, თუ როგორი ვითარებაა თბილისის საბავშვო და საყმაწვილო თეატრებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიმართულებით, ასევე არის თუ არა თანხვედრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლების ხედვასა და მოსწავლეების/ მოზარდების ხედვას შორის. რა პრობლემები და სირთულეები არსებობს აღნიშნული სამსახურის მუშაობის პროცესში და როგორ ხედავენ თეატრის წარმომადგენლები პრობლემების გადაჭრის გზებს.

ნაშრომისთვის საჭირო კვლევის მეთოდებად შეირჩა როგორც თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ), ისე რაოდენობრივი მეთოდები(კითხვარი/ონლაინ კვლევა) ნაშრომზე მუშაობისას ის ძირითადი პრობლემები და თემები გამოიკვეთა, რომლებიც გააჩნიათ თბილისის საყმაწვილო და საბავშვო თეატრებს მოზარდებისა და მათი მშობლების ინფორმირებულობის მხრივ. კონკრეტულად მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის სპეციალური რეკომენდაციები შემუშავდა.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, ძირითადი ნაწილისა და რეკომენდაციებისაგან შედგება. შესავალი წარმოაჩენს თემის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას. ძირითადი ნაწილი ორ ქვეთავად იყოფა: პირველ თავში საუბარია საკითხის კვლევის მეთოდოლოგიაზე, მეორე თავი ნაშრომის შედგენის დროს ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს ეთმობა, ხოლო ნაშრომის დასასრულს ის რეკომენდაციებია თავმოყრილია, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის შემუშავდა

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: თეატრი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია, მოზარდი, სიღრმისეული ინტერვიუ, კამპანია.